

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“  
სხდომის ოქმი №2**

ქ. ლანჩხუთი  
20.02.2020 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“  
თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები: ბესიკ ტაბიძე, ზაალ სანაძე, კახა ბოლქვაძე, რეზო კვაჭაძე, გიორგი გვარჯალაძე, ვენე კვიციანი, გიორგი ჩახვაძე

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრის გოდერძი ქურიძის ფრაქციის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადების განხილვა.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ში ახალი წევრის მიღების შესახებ.

/მომხსენებელი ბესიკ კუპრაძე/

4. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების განკარგვაზე (გასხვისებაზე) მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ**, მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“-ს 107-ე მუხლის თანახმად მოვახდინეთ ქ.ლანჩხუთში, გორგასალისა და ჟორდანიას ქუჩების (ჩრდილოეთით და სამხრეთით) მიმდებარედ არსებული 206 კვ.მ. არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაცია. შემდგომ ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონება დაიყო 20 და 186 კვ.მ. მიწის ნაკვეთებად. რეგისტრაციის დროს საჯარო რეესტრის რეგისტრატორის მიერ მოხდა როგორც ტროტუარის (ს/კ 27.06.51.334 ; ს/კ 27.06.51.333) რეგისტრირება. ჩვენი განმეორებითი მიმართვის შემდეგაც რეგისტრაციის დასახელებაში ცვლილება არ მომხდარა. არც რეგისტრაციის დროს და არც ამჟამად ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონებები ტროტუარს, როგორც ძირითად ქონებას ფაქტობრივად არ წარმოადგენენ. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“-ს 121-ე მუხლის თანახმად მოხდეს ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონებებისთვის ძირითადი ქონების სტატუსის შეცვლა საკრებულოს განკარგულებით და შემდგომ მერის ბრძანების შესაბამისად მოხდეს მათი როგორც დამატებით ქონებად რეგისტრაცია, შემდგომში მათი პრივატიზების ან სარგებლობის გაცემის მიზნით.

ასევე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 აგვისტოს N1609 განკარგულებით მოხდა ქ.ლანჩხუთში, მდინარაძის ქ. N2-ში მდებარე უძრავი ქონებების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები 27.06.56.072.01.502 ; 27.06.56.072.01.501) როგორც ძირითადი ქონებების გადმოცემა. საქართველოში კომუნისტური მმართველობის პერიოდში ამ უძრავ ქონებებში განთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტური შრომის“ სტამბა-რედაქცია. შემდგომში გადმოცემამდე გადმოცემის პერიოდში და მას შემდგომაც ამ უძრავი ქონებების გამოყენება საჯარო ფუნქციების შესასრულებლად არ მომხდარა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ მოხდეს ამ ქონებების სტატუსის შეცვლა საკრებულოს განკარგულებით და შემდგომ მერის ბრძანების შესაბამისად მოხდეს მათი როგორც დამატებითი ქონების რეგისტრაცია, შემდგომში მათი პრივატიზაციის ან სარგებლობის უფლებით გაცემის მიზნით.

**დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ** განმარტა, რომ აღნიშნულ უძრავი ქონებაზე მერს მიეცეს თანხმობა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შევიდეს არა მხოლოდ 20 კვ.მ არამედ მთლიანად 206 კვ.მ.

**ფრაქციის წევრებმა განმარტეს**, რომ საკითხი აღნიშნული ფორმულირებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შემოტანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

**მომხრე 8 , წინააღმდეგი არცერთი.**


**დღის წესრიგის მეორე საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრის გოდერძი ქურიძის ფრაქციის შემადგენლობიდან გასვლა სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ, აღნიშნული ფაქტი ფრაქციის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ში ახალი წევრის ვენე კვიციანიას მიღების შესახებ სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ, ფრაქციის წევრების მიერ ფაქტი ცნობად იქნა მიღებული.

**სხვადასხვა**

**ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა**

ბესიკ კუპრაძე



ფრაქციის თავმჯდომარე  
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"